რაც ტელევიზორში ჩანდა...

ბაქო. “ნეფტიანიკის” სტადიონი. 6 ივლისი.

“ნეფტიანიკი” (ბაქო) - “დინამო” (თბილისი) 0:1 (0:0).

“დინამო”: კოტრიკაძე, პეტრიაშვილი, ხურცილავა, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, ხუციშვილი, დათუნაშვილი.

“ნეფტიანიკი”: შეხოვი, ჯალილოვი, ახუნდოვი, ბრუხტი (გოლოდეცი), ჭანჭალეიშვილი, ტროფიმოვი, ალესკეროვი, ტუაევი, ბანიშევსკი, მარქაროვი, გაჯიევი.

მსაჯი: პ. კაზაკოვი (მოსკოვი).

პირველი, რითაც გვინდა დავიწყოთ გუშინდელი მატჩის ანგარიში, ეს ისაა, რომ ქართველმა ფეხბურთის მოყვარულებმა მადლობით უნდა მოიხსენიონ თბილისისა და ბაქოს ტელევიზიის მუშაკები, რომლებმაც ასეთ ვრცელ და დაინტერესებულ აუდიტორიას საშუალება მისცეს უშუალო მოწმენი ყოფილიყვნენ ამ ორი ქალაქის გუნდების თამაშისა. ხილვადობა ნორმალური იყო, ყოველ შემთხვევაში, მაყურებელს არ გამორჩენია მატჩის არც ერთი დეტალი და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში ჩვენ საშუალება მოგვეცემა ვიხილოთ თამაშების ტრანსლაცია მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან....

გუშინ თბილისელებმა ძალზე მნიშვნელოვანი 2 ქულა აიღეს ბაქოში. მართალია, პირველ ტაიმში “დინამოს” არ გამოუვიდა თამაში და ბაქოელებმა მეტი აქტიურობისა და ენერგიის წყალობით მიაღწიეს საერთო ინიციატივას.

მეორე ტაიმში დინამოელებმა შეძლეს სადავეების ხელში აღება. ეტყობოდა, რომ გუნდმა მეტი მოინდომა, მთელი ძალები ჩააქსოვა თამაშში და დამსახურებულად მოიგო კიდეც იგი - 1:0. ეს ბურთი საჯარიმო დარტყმიდან (დაახლოებით 25 მეტრიდან) გაიტანა მეტრეველმა მე-14 წუთზე. გუნდი დარჩენილ დროშიც თამამად მოქმედებდა.

ამ გუნდების დუბლიორთა მატჩი მოიგეს ბაქოელებმა - 1:0.

ა. კიკნაძე.

“ლელო”, 7 ივლისი, 1964 წ.